

**განცხადება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად
კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის
დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ**

1. 2021 წლის 28 მაისს გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
 2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021 წლის 14 ივნისის 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ალ.გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №212; სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: hr@tsc.edu.ge
 3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 18 ივნისის 18:00 საათი.
 4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და პრეტენდენტებთან გასაუბრება განხორციელდეს 2021 წლის 21 ივნისიდან არაუგვიანეს 2021 წლის 28 ივნისისა. პრეტენდენტთან გასაუბრება, ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებასა და შეკრებას, აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.
 5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა.
 6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
 - ა) უმაღლესი განათლების მქონე;
 - ბ) ადმინისტრირების ან/და ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე (სასურველია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე);
 - გ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.
 7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
 - ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე (იხ. განცხადების ფორმა)
 - ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
 - გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
 - დ) ავტობიოგრაფია (CV);
 - ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;
 - ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
 - ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
 - თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა
 - ი) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი – შრომის წიგნაკი ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა;
- დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

მოქალაქე _____

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა